№ 128
შაბათი, 28 ივნისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 128
შაბათი, 28 ივნისი 1897 წ.

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ივერიის რედაქციისაგან

ვაუწყებთ იმ ხელის-მომწერლებს, რომელთაც მხოლოდ ნახევარის წლის ფული აქვს შემოტანილი, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ არ წარმოადგინეს დანარჩენი ფულიც.

ამასთან ვაცნობებთ ხელის-მომწერლებს, რომ თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა, უნდა წარმოადგინოს ერთი მანეთი, ხოლო სხვა ყოველის ადრესის შეცვლისათვის-კი—ორი აბაზი.

---

## მთავრობის განკარგულებანი

### მომხმარებელ საზოგადოებათა ნორმალური წესდება

(შემდეგი *)

§ 45 საზოგადოების სახელოსნოებიდგან და საწყობებიდგან საქონელი ერთ და იმავ ფასად უნდა იყიდებოდეს, რასაც გამგეობა მოკალეჲ თვალ-ყური ადევნოს. სავაჭრო საქონლის დადგენილ ფასად გასასყიდად გამგეობა პრეისკურანტს ადგენს, რომელსაც გამგეობის ყოველმა წევრმა ხელი უნდა მოაწეროს და საზოგადოების სახელოსნოებში გამოსაჩენს ადგილას გამოჰკიდოს. თუ რომ საქონელი სხვა-და-სხვა ღირსებისაა და ამ გვარის მრავალფეროვნებისა გამო უსრხულია ფასები პრეის-კურანტში ჩაიწეროს, მაშინ ფასი საგნებისა თვით საქონელზედ უნდა აღინიშნოს.

§ 46. საზოგადოების საქმეთა შესახებ მიწერ-მოწერა გამგეობის სახელით სწარმოებს და ყოველსავე ქაღალდს ან გამგეობის თავმჯდომარისა და ან რომელისამე ერთის წევრის ხელი უნდა ეწეროს.

§ 47. ვექსილებს, რწმუნების ქაღალდებს, ხელშეკრულობათ, პირობის ქაღალდებს, ნასყიდობისა და სხვა აქტებს, აგრეთვე მოთხოვნილებას საზოგადოების მხრივ, რომ კუთვნილი ფული საკრედიტო დაწესებულებიდგან უკანვე იქმნას გამოტანილი, უთუოდ გამგეობის წევრთა ნახევარმა მაინც მოაწეროს ხოლმე ხელი. ფოსტიდამ ფულისა, ამანათებისა და დოკუმენტების მისაღებად საკმაოა მხოლოდ გამგეობის ერთმა წევრმა მოაწეროს ხელი და საზოგადოების ბეჭედი დაჰკრას.

§ 48. გამგეობა მუდამ იკრიბება, როდესაც კი ამას საჭიროება მოითხოვს, ხოლო თვეში ერთხელ გამგეობის კრება აუცილებელია. კრებას გამგეობის წევრნი ერთმანეთთან შეთანხმებით ჰნიშნენ და კრების დღეს საზოგადოების წევრთ აცნობებენ. საზოგადო კრების ნებართვით ისე წევრთაც შეუძლიათ გამგეობის წევრთა სხდომებს დაესწრნენ ხოლმე, ხოლო საქმის გარდაწყვეტის დროს ხმის უფლება არა აქვთ. გამგეობის გარდაწყვეტილებანის კანონიერად ჩასათვლელად უსათუოდ საჭიროა წევრთა უმეტესობა დაესწროს.

გამგეობის სხდომებზედ გარჩეულ საქმის შესახებ განაჩენი მუდამ იწერება, რომელსაც ყველა დამსწრე წევრმა ხელი უნდა მოაწეროს.

§ 49. გამგეობა ყოველსავე საქმეს ხმის უმეტესობითა სწყვეტს, ხოლო როდესაც ასეთი უმეტესობა არ არის, მაშინ საკამათო საგანი საზოგადო კრებას წარედგინება გარდასაწყვეტად; საზოგადო კრებასვე წარედგინება ის საგნები, რომლების შესახებაც მოქმედებას გამგეობა და სარევიზიო კომისია საზოგადოების ყველა წევრთა თანხმობით სცნობენ საჭიროდ და რომლებიც წესდებისა და საზოგადო კრების-მიერ მიცემულს ინსტრუქციის ძალით გამგეობას არ შეუძლიან გარდასწყვიტოს.

შენიშვნა. თუ რომელიმე წევრი გამგეობის დადგენილებას არ დასთანხმდება და მოითხოვს, რომ ეს მისი წინააღმდეგობა განაჩენში იქმნეს ჩაწერილი, მაშინ იგი გამგეობის დადგენილებაზე პასუხს არ აგებს.

§ 50 გამგეობის წევრნი ჰმოქმედებენ თანახმად იმ საზოგადო კანონებისა და დადგენილებათა, რომლებიც ამ წესდებაში არიან მოთავსებულნი, ხოლო თუ კანონის წინააღმდეგს განკარგულებას მოახდენენ, თავისს უფლებას გადააჭარბებენ, წესდებას დაარღვევენ, ან შენიშნულ იქმნებიან, რომ არ ჰმოქმედებენ და საზოგადო კრებების დადგენილებას არ შეასრულებენ, მაშინ კანონის წინაშე აგებენ პასუხს.

შენიშვნა. წევრთა საზოგადო კრებას შეუძლიან გამგეობის წევრნი ვადის გასვლამდეც გადააყენოს სამსახურიდგან. საზოგადოების საქმეთა ანგარიშები, მოგების განაწილება და დივიდენდის მიცემა.

§ 51. საზოგადოების საოპერაციო წელიწადი 1-ლ იანვრიდგან 1-ლ იანვრამდე ითვლება. გამგეობა ადგენს თითოეულის წლის საზოგადოების ოპერაციების ანგარიშს, ბალანსს მისის ადებ-მიცემობისას და წევრთა წლიურს საზოგადო კრებას წარუდგენს განსახილველად და დასამტკიცებლად.

შენიშვნა. წლიურ საზოგადო კრების ორი კვირით ადრე გამგეობის წიგნები, ანგარიშები, სხვა-და-სხვა დოკუმენტები და დამატებანი, რომლებიც-კი ანგარიშსა და ბალანსს შეეხებიან საზოგადოების წევრთ მუდამ შეუძლიანთ გადაათვალიერონ.

§ 52. ანგარიშში დაწვრილებით უნდა იყოს მოხსენებული სამი უმთავრესი საგანი: ა) რა მდგომარეობაშია თანხა: საალებ-მიცემო და სათადარიგო; ბ) რა შემოსავალი და გასავალი ჰქონია საზოგადოებას იმ ხნის განმავლობაში, რა დრომდეც ანგარიშია შედგენილი; რამდენი რა უყიდნია და გაუყიდნია; გ) საზოგადოების მსახურთა ჯამაგირზედ რა დახარჯულა, ან საქმეთა სხვა მმართველ-გამგეობას რა ხარჯი დასჭირებია; დ) საზოგადოებას იმ ხანად რა ქონება აქვს, ან რამდენი საქონელი აქვს გაუსყიდველი; ე) საზოგადოებას ვისი რა ჰმართებს, ან რამდენი აქვს სხვაზედ ვალად დარჩენილი; ვ) შემოსავლისა და ზარალის ანგარიში და ზ) წმინდა მოგების ანგარიში და მისი განაწილება.

(შემდეგი იქნება)

---

დანიშნულ იქმნა თერგის ოლქის გამიჯვნის ნაწილის გამგე დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი თავადი სიდამონ ერისთავი—იმავე ოლქის გეგმათა შემადგენელ ნაწილის გამგედ.

---

## ახალი ამბავი

⁂ ხუთშაბათს, 26 ივნისს, ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობას სხდომა ჰქონდა და გარდასწყვიტა, რომ ამ სეზონში თითონ არ იკისროს ქართულის წარმოდგენების გამართვა.

⁂ როგორც შევიტყეთ, სდგება კერძო ამხანაგობა ქართულის წარმოდგენების გასამართავად მომავალ სეზონში.

⁂ ტფილისის გუბერნიის დუშეთისა და გორის მაზრის ზოგიერთ სოფლების მცხოვრებელთ უთხოვნიათ ტფილისის გუბერნატორისათვის, შემწეობა რამ აღმოგვიჩინეთ, რადგანაც სიცხისა და წყალდიდობისგან ძალიან დავზარალდითო.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა ტფილისიდგან ნავთლუღის საყასბომდე გზა-ტკეცილის გაკეთებას.

⁂ ტფილისის ბოტანიკურ ბაღის გასადიდებლად აზრადა აქვთ შეისყიდონ 60 დღიური მიწა იმ 24 დესე-

---

*) იხ. „ივერია" № 127.

---

# ფელეტონი

## მგოსანს

ჩვენო მგოსანო,
მადლ-ნიჭოსანო,
მზეო და მთვარევ,
სამოთხის არევ.
ჩვენო მგოსანო,
ნარგიზ-სოსანო,
იავ და ვარდო,
ტკბილო და კარგო.
ჩვენო მგოსანო,
ცა-ქვეყნოსანო,
სიბრძნევ და მცნებავ,
გრძნობათ ოცნებავ.
ჩვენო მგოსანო,
ლომო ფრთოსანო,
სულო ციერო,
ძალო ძლიერო.
ჩვენო მგოსანო,
ჰკვით სხივოსანო,
ხატო და ჯვარო,
ჩემო სამყარო.
ჩვენო მგოსანო,
ზეცავ ხმოსანო,
ქვეყნის ღვთაებავ
და უკვდაებავ.
შენ გევედრები,
და გეხვეწები,
შემქენ ძლიერი,
და გონიერი,
რომ ჩვენსა ერსა,
ტურფა „ივერსა",
გავუხდე ტრამლად,
დაველო წამლად!

დ. მაჩხანელი

## უცხოთა შორის

ესპანიელის ხასიათი.—მთავრობა.—სახელმწიფო გარდასახადი.—დასების ბრძოლა.—სწავლა-განათლება.—სარწმუნოება და სამღვდელოება.—სამღვდელოების უმეცრება და უზნეობა.—სკოლების ნაკლებობა.—ცრუ-მორწმუნეობა.—ჩხუბი, ლატარეა და ქაღალდის თამაშობა.

გასულს შაბათს მოგახსენეთ, რომ ესპანიის ერი ღარიბი არის მეთქი. ასევე ღარიბია თვით მთავრობაც. მთავრობას ფული არა აქვს, რომ სახელმწიფო საჭირო გზები გაჰმართოს, არა აქვს ფული, რომ წყალის არხები გასჭრას და ამით მიწის მოსავალს უმატოს ან მდინარეების ნაპირები გაამაგროს, რომ წყალ-დიდობის დრომ მოსავალი არ წალეკოს ხოლმე; ხშირად დიდის წვიმებისა გამო მოვარდნილი ნიაღვარი მთელის სოფლის ნამუშავარს გაახრებს ხოლმე. ყოველივე ეს ხელს უშლის ესპანიელის კეთილ-დღეობას და აღარიბებს ქვეყანას. თვისის ჯიბის გასავსებად მთავრობა ყოველ წლივ იგონებს სულ ახალს გარდასახადებს, მაგრამ ყოველივე ეს ცდა ამაო არის, ხალხს აღარიბებს და თითონაც ვერა მდიდრდება. გარდა ამისა მთავრობა ყოველ წლივ ჰმართავს ლატარიებს. ეს ლატარიები უფრო აღარიბებენ ხალხს. იყიდის ესპანიელი ლატარიის ბილეთს და აღარაფერს აკეთებს, ერთხელაც არის ჩემს ბილეთს დიდი მოგება შეჰხვდება და გავმდიდრდებიო. ამ გვარად, რაც უფრო ღარიბდება ხალხი, იმდენად ფული უჭირს მთავრობასაც. სიღარიბეს ზედ დაუმატეთ კიდევ ცუდი მართვა-გამგეობა, დაუსრულებელი აურ-ზაური საპოლიტიკო დასებისა, გამოცვლა მთავრობისა, სხვა-და-სხვა დასებს შორის ბრძოლა. თუ იმასაც გაიხსენებთ, რომ მთავრობის მოხელენი ურცხვადა და უსინიდისოდ იღებენ ქრთამსა და ჰყვლეფავენ ხალხსა, რომ სასამართლოში კაცი სამართალს ვერ ჰნახავს, რომ ერს ათასგვარი გარდასახადი აწევს ზურგზედ და ვერ გადაუხდია კი, ადვილად მიხვდებით, რად ანებებს ესპანიელი თავს საყვარელს ესპანიას და რად გარბის ამერიკაში...

ესპანიელი მუშა ბუნებით ნიჭიერი კაცია, ყველაფერს ადვილად მიჰხვდება, ყველას მალე დაუმეგობრდება, მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ამასთანავე სრულიად გაუნათლებელი და ბრიყვია.

აქამდე სწავლა-განათლება ძლიერ მცირედ არის გავრცელებული ესპანიაში. 100 კაცზედ 26 ძლივს იცის წერა-კითხვა. ევროპის სახელმწიფოთა შორის სწავლა-განათლების მხრივ ესპანიას მეცხრე ადგილი უჭირავს. მთელი ოც-და-ხუთი წელიწადი-კი არის, რაც ესპანიაში კანონი არსებობს, რომლის ძალით სწავლა-განათლება ყველასათვის სავალდებულოა. ამასთანავე სწავლის ფასს არახდევინებენ მოსწავლეთა მშობლებს. მაგრამ, რადგანაც სკოლები ძლიერ ცოტაა ესპანიაში, ამიტომ მარტო კანონი, რა თქმა უნდა, ვერაფერს გაჰხდებოდა.

საყურადღებო ის არის, რომ ესპანიელს სწავლა არ უყვარს, არც მაღალ-წოდების წარჩინებულს კაცს დაა რც უბრალო გლეხის შვილს. მოგეხსენებათ, როგორ ეტანება ეხლა ყველა სახელმწიფოს ხალხი სწავლა-განათლებას. ეხლა სახელმწიფოებს იმითი-კი არ მოაქვთ თავი, ამდენი ჯარი გვყავსო, არამედ იმითი, ამდენი სკოლა და ამდენი ნასწავლი კაცი მოგვეპოვებაო. ესპანიელი-კი სწავლისთვის ყურსაც არ იბერტყავს. რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ესპანიელების უსწავლელობისა იგივეა, რაც მათის სიღარიბისა. ესპანიელების ცხოვრება რომ გავიხსენოთ, თუ გნებავთ მხოლოდ მე-XIX საუკუნის განმავლობაში, დავრწმუნდებით, რომ არც ერთს სახელმწიფოში ისე ხშირად არ გამოცვლილა მთავრობა და არ მომხდარა საპოლიტიკო არეულობა, როგორც ესპანიაში. არსად არ მომხდარა ასეთი სასტიკი ბრძოლა სხვა-და-სხვა საპოლიტიკო დასებ შორის. ვის აგონდებოდა სკოლა, სწავლა, განათლება? ან სად იყო ამისთვის საჭირო ფული? იმის მაგიერად, რომ გლეხკაცს თავისთვის მინდვრად ემუშავნა და მუშა კაცს—ქარხანაში, ორთავენი ამა თუ იმ საპოლიტიკო დასს ემხრობოდნენ და თავისისავე მოძმის სისხლსა ჰღვრიდნენ. იმის მაგიერ, რომ შეჰყვარებოდათ წერა-კითხვა, ცოდნა, მეცნიერება, აქ მხოლოდ ერთად ერთი რამ აღელვებდა დიდსა და პატარას, წარჩინებულს კაცსა და უბრალო მუშას—რომელი დასი გაიმარჯვებს და ვინ ავა ტახტზედ. ამიტომ ყველა ესპანიელი პოლიტიკოსად გადიქცა, ყველა უფრო მეტად აფასებს სარდალსა და ჯარის-კაცსა, ვიდრე ნასწავლსა და განვითარებულს. ძლიერ შეუშალა ხელი ესპანიელების სწავლა განათლებას სამღვდელოებამაც. ესპანია დიდ ხანს ბერებისა და მონაზონების ქვეყანა იყო და ამ ქვეყანას მთელის ათასის წლობით სამღვდელოება განაგებდა. მერე რო-

ტინის გვერდზე, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად შეიძინა ხაზინამ. ამ საგნის შესახებ მოლაპარაკება უკვე არის.

⁂ რადგანაც თელავის მაზრის სოფ. ოჟიოს მცხოვრებელთ 1895 წელს ვაზის სხვა-და-სხვა ავადმყოფობამ და მოუსავლობამ დიდი ზარალი მიაყენა, შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრთ შესაძლებლად სცნეს, რომ ზემოხსენებულ სოფლებზედ დარჩენილი ძველი გარდასახადი და აგრეთვე საერობო გარდასახადი, სულ 434 მან. 50 კაპ., სამის წლის განმავლობაში შეიტანონ ხაზინაში ნაწილ-ნაწილად, 1898 წლის პირველ იანვრიდგან დაწყებული.

⁂ ახალ-სენაკი. არა ერთხელ ყოფილა „ივერია“-ში დაბეჭდილი ამბავი ახალ-სენაკელ გაიძვერა ჩარჩ-ბერძნების მოქმედებისა, მაგრამ ყოველივე ჩვენი ჩივილი ჩაილურის წყალს მიეცა. ეს „ბატონები“ ისე გათამამებულნი არიან, რომ საცაა აგერ დაგვარჩობენ სიმინდის მტვრითა. საქმე ის არის, რომ ამ ვაჟბატონებს შუა ქალაქში სიმინდის სანიავებელი მანქანა აქვთ დადგმული, სადაც ყოველ ცისმარე დღეს სიმინდს ანიავებენ და მით ამ სიცხე-პაპანაქებაში უამისოდაც შეწუხებულთ სულსა და გულს გვიხუთავენ. მთელს დაბაში საშინელი ბუქი სდგას, რის გამოც ქუჩებში ვერ გავსულვართ... გვიკვირს, ღმერთმანი, რატომ არ აქცევენ ყურადღებას, ვისიც მოვალეობაა, ამ საქმეს...

⁂ ს. ოძისი, აქ მობრძანდა ქნის ბოჭაული საქონლის ავადმყოფობის გამოსაკვლევ-გამოსაძიებლად. გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ 1 თიბათვიდგან 22 თიბათვემდე ავად გამხდარა 74 სული; მორჩენილა 42 სული, ავად არიან 30 და მომკვდარა 2. ბოქაულმა მამასახლისს დაავალა, საქონლის ავადმყოფთა სია მუდამ კვირით შემატყობინეო. სოფელი ნაგავ-პატივებისაგან გაასუფთავე — გასწმინდეთ, რადგან უსუფთაობა ხელს უწყობს ყოველის ავადმყოფობის გაჩენას და გავრცელებასაო. რაც შეეხება საქონლის ავადმყოფობის მოსპობას, ბეითალი იქმნება გამოგზავნილი და დარიგებას მისგან მიიღებთო.

⁂ ყველამ კარგად იცის, რა ზნეჩვეულებისანი არიან თამამშოვის ქარვასლის ნოქრები და როგორ ზრდილობიანად ექცევიან ხოლმე მუშტარს. არა ერთხელ და ორჯელ გაუსტუმრებიათ მუშტარი უშვერის სიტყვებით და ლანძღვა-გინებით და ძალიან ხშირად ზომაშიაც ატყუებენ ხოლმე. ერთი ასეთი ამბავი ამ დღეებშიაც მოხდა და ამიტომ ყურადღება მაქციეს ასეთ ამბებს და უოკელთვის ოქმს შეადგენენ, რომ ასეთი საქციელი ამ მოკაჭრეებისა ადმინისტრატიულის წესით დასასჯელია. მადლობა ღმერთს, რომ ეხლა მაინც ბოლო მოეღება ნოქრების და მოვაჭრეების თავ-გასულისა და უზდელ საქციელს!!..

⁂ კერძო ვექილს გ. პლიუშჩევსკის საჩივარი შეუტანია ტფილისის ოლქის სასამართლოში და თავ. ი. ი. მუხრანსკის 99,000 მან. ედავება. მომჩივანე ვექილად უოფილა განსვენებულის თავ. ი. კ. მუხრანსკისა და თავისის საჩივრის საბუთად წარუდგენია ამ უკანასკნელის ხელმოწერილი ქაღალდი, რომლიდგანაც სჩანს, რომ თავ. ი. კ. მუხრანსკის ბ-ნი გ. პლიუშჩევსკი მოუწვევია თავისისა, თავისის ცოლისა და შვილის სასამართლო საქმეების საწარმოებლად და შეჰპირებია ათის წლის განმავლობაში უოველ წლიურად 5,000 მან. და სადგომს აწუ მის ნაცვლად 1,500 მან. წლიურად, ამასთან იმ პირობით, რომ თუ მის მიერ მისაღებს ფულს არ წაიღებს და დასტოვებს ვალად, თავ. ი. კ მუხრანსკიმ 7% სარგებელი უნდა მისცეს. გ. პლიუშჩევსკი აცხადებს თავისს საჩივარში, რომ 1882 წლიდგან არა მიმიღია-რა, ამ ხნის განმავლობაში არც სადგომი მქონია და არც სადგომის ხარჯი უმღევიათ ჩემთვის. ამგვარად, ჩემის მოვალის მემკვიდრე გადებულია გარდამახადოს ათის წლის ჯილდო საქმების წარმოებისა 50 ათასი მან. და 15 ათასი მანეთიც სადგომის ნაცვლადაო, სულ 65,000 მან., დანარჩენი-კი სარგებელია თურმე („ტფ. ფურც“.)

---

### წერილი ბაქოდგან

ბაქოში მრავალი სხვა და სხვა ეროვნების ხალხია და თითქმის ყველა მათ თავიანთ საკუთარი ეკლესია, სასწავლებელი, სამკითხველო და მრავალი სხვა ამ გვარი დაწესებულება აქვთ. მათ შორის მხოლოდ ჩვენ, ქართველები ვართ გამოკლებულნი. ჩვენდა სამწუხაროდ, არამც თუ სკოლა და ეკკლესია, უბრალო სამკითხველოც-კი არ მოგვეძებნება. იმ დროს, როდესაც შორს, ქ. ოდესაში, სადაც ღარიბი ქართველი სტუდენტი და რამდენიმე უბრალო ქართველი მუშაა, თავიანთი საკუთარი სამკითხველო და წიგნთ-საცავი აქვთ, ბაქოში ამოდენა ქართველობას ესეც ვერ მოგვიხერხებია! ბაქოში ნივთიერად ბევრი დაკმაყოფილებული ქართველია. თითომ სამსამი მანეთი რომ გაიღოს სამკითხველო-წიგნთსაცავის დასაარსებლად, სულ მცირე 1,600 მანეთი მაინც შესდგება. ამას თუ ისიც დავუმატეთ, რომ ბევრი თუმნობით და სამ თუმნობით შესწირავს ამ კეთილ საქმეს, მაშინ ხომ მეტიც იქნება. ვთქვათ ზემო აღნიშნულ 1,600 მანეთზედ ხაკლები შეიკრიბა, მაინც შესაძლებელი იქნება წიგნთ-საცავის დაარსება. მაგრამ მოთავეა საჭირო. ამისთვის კარგს ინებებენ ბაქოში დროებით მცხოვრებნი ბ-ნნი მიქელაძე, დადიანი, ლორთქიფანიძე და აგრეთვე რკინის გზის მღვდელი მ. მამამთავრიშვილი, იკისრებდნენ ამ კეთილის საქმის მეთაურობას და გაჰმართავდნენ ხელის-მოწერას. დარწმუნებული ვარ, ბევრი თანამგრძნობელი აღმოუჩნდება ამ საქმეს და იმის განხორციელებას წინ აღარაფერი დაუდგება.

ვინმე გურული

---

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ძიმითი.** მკითხველს ეხსომება, რომ მარტო ერთმა სოფელმა ძიმითმა საკუთარი ერთ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი დაიარსა წელს, რომლის შენობაც უკვე აგებს და შიგ მეცადინეობაც არის 11 მარტს აქეთ დაწყებული, ამ შენობისა და მისს მოსაწყობ ავეჯის ფული ჯერაც არ არის სულ გარდახდილი. სკოლის გახსნა სწავლის სიყვარულმა გააჩქარებინა აქაურებს და სამწუხაროდ, ამ უფულობამაც ახლა იჩინა თავი და მეტად შეავიწროვა აქაური გლეხები.

სკოლა არის და, როგორც ზევითა ვსთქვი, მოსწავლეები ბევრნი არიან და შიგ-კი საკმაო ავეჯი არ არის. ერთს ცალს წიგნს ვერა ნახავთ ვერც ერთს ენაზედ, რომ კაცმა ისარგებლოს, წიგნთ-საცავ-სამკითხველოა და არსად არის ჯერ. იმედია, ცოტად მაინც არის გული შესტკივა ხალხის წარმატებისათვის, განსაკუთრებით აქაურ მკვიდრთ, რომელნიც შორეულს დაბა-ქალაქებში არიან წასულ-წამოსულნი, ამ ახალის სკოლისათვის არ დაიშურებენ მცირე რამ ფულს ან თითო-ოროლა წიგნებს და დაუხმარებიან, რომ მცხოვრებთაც გაიგონ რამე ქვეყნიერობისა და მოსწავლეებსაც ეხლავე თან დაჰყვება წიგნისა და ცოდნის სიყვარული. მით უმეტეს საყურადღებოა ეს, რომ, არა მგონია, კითხვისა და გონებით ვარჯიშობის ამდენი მსურველი სხვაგანაც იყოს სადმე, როგორც ძიმითშია დღეს.

დ. ივ. ერქომაიშვილი

---

### სადა სჯობია დაარსდეს „სამეგრელოს „შუამავალი“-ს ამხანაგობა?

სწორედ სასიამოვნო ამბავია, რომ ჩვენშიაც აღიძრა ლაპარაკი „შუამავალი“-ს დაარსების შესახებ. სასიამოვნო აქ უფრო ის არის, რომ ჩვენი საზოგადოება თანდათან ფხიზლდება და გონს მოდის. ამ გამოფხიზლებას უნდა მიეწეროს სოფ. ძველ-სენაკში ახლად დაარსება „შუამავალი“-სა. ჩვენ მხოლოდ გვსურს აღვნიშნოთ, თუ სად სჯობია მისი დაარსება, სოფ. ძველ-სენაკში, თუ სხვაგან. თუ ა. ქავ—ძის წერილს დაუჯერეთ და ვერწმუნეთ („ივერია“, 115 №-რი), უპირველესი ადგილი მთელის სამეგრელოის დაბა-სოფლებს შორის მხოლოდ სოფ. ძველი-სენაკი ყოფილა. რითი ჰსარგებლობს ზემოხსენებულის წერილის ავტორი, როცა ამბობს: „სამეგრელოს შუაგული ადგილი ძველი-სენაკია“-ო, სწორედ ვერ გაგვიგია! უკეთუ ის ჰსურდა ეთქვა, რომ სოფ. ძველ-სენაკში დაარსდა „შუამავალი“ ამხანაგობაო, რისთვის დასჭირდა, როდესაც თამამად გაიძახის სამეგრელოს შუა გული ადგილი სოფ. ძველი-სენაკიაო? სწორედ, საკვირველია! უნდა მოგახსენოთ, რომ სამეგრელოს შუა გული ადგილი, როგორც ეს ყველა სამეგრელოს მცხოვრებლებმა კარგად უწყიან, არის ახალ-სენაკი და არა ძველი-სენაკი. ახალ-სენაკში რომ დაარსდებოდეს ეს „სამეგრელოის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა შუამავალი“ უფრო სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას, ვიდრე სოფელ ძველ-სენაკში. ეს მგონი ყველამ უწყის და აგრეთვე ა. ქავ—ძემაც, მით უფრო, რომ ახალ-სენაკი, თუნდ შუაგული ადგილიც არ იყოს სამეგრელოსი, მაინც მარჯვე და ხელ-მისაწვდენია მთელის სამეგრელოსათვის, უვლის რკინის გზა, რომელიც დიდად სანატრელი და სასარგებლოა ამ საქმისათვის. ვაჭრობა და აღებ-მიცემობა, წაღება

---

გორი სამღვდელოება? უსწავლელი, ზნეობა გახრწნილი და ვერცხლის მოყვარული. მუდამ თავის ჯიბეს ჩასცქეროდა, სძულდა სწავლა-განათლება და უფრო მეტად ეჯავრებოდა ნასწავლი, განათლებული, მეცნიერი კაცები. ვინ მოსთვლის, რამდენი კაცი გამოასალმა წუთი-სოფელს ესპანიის სამღვდელოებამ, რამდენი დაალპო საპყრობილეში, რამდენი განდევნა სახელმწიფოდგან... მართალია, ესპანიის სამღვდელოება თითონა ჰმართავდა სკოლებს, მაგრამ ამ სკოლების დანიშნულება მხოლოდ ის იყო, მოზარდი თაობა დავუმონავოთ სარწმუნოებას, პაპის და სამღვდელოებასაო. მე-XIX საუკუნის დასაწყისში ესპანიაში იყო 250,000 სამღვდელო კაცი. 1835 წლიდგან სამღვდელო კაცთა რიცხვი თანდათან შემცირდა, მონასტრები დაიკეტა და მრავალი ბერი წავიდა ესპანიიდგან უცხო ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, სკოლები ეხლაც ბერების ხელშია და ესპანიის სამღვდელოებას დიდი გავლენა აქვს გაუნათლებულ ხალხზე.

ესპანიის სკოლებში ეხლაც მასწავლებლებად თითონ უსწავლელი და გარყვნილი ბერები არიან. ეს ბერები იმას კი არა სცდილობენ, მოწაფეებმ ცოდნა შეიძინოს, არამედ იმის ფიქრსა და ცდაში არიან, — მოზარდი თაობა დავიმონავოთო.

რაც უფრო გაუნათლებელია ხალხი, იმდენად უფრო მეტად არის იქ გავრცელებული ყოველგვარი ცრუ-მორწმუნეობა. ესპანიელის ცრუმორწმუნოებას ადამიანი ვერ ჩამოსთვლის. ესპანიელს ეშინიან შავის კატისა, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ეშმაკი შავის კატის სხეულით დასეირნობსო; დიდი ქარი რომ ამოვარდება, ესპანელი ამბობს, ეშმაკი ამოსულა ჯოჯოხეთიდგან და დარბისო.

თუმცა ესპანელი ძლიერ ღარიბია, მაგრამ მუდამ მხიარული კი არის, უყვარს სიმღერა, ცეკვა და ყოველ გვარი გასართობი. ესპანიელის სიმღერებში გამოიხატება მთელი მისი ბედ-კრული სიცოცხლე, რომელსაც იგი გროშად არ აფასებს და მუდამ ჟამს მზად არის გამოესალმოს წუთისოფელს.

სიმღერისა და ცეკვის გარდა ესპანიელს ძლიერ უყვარს ლაპარაკი, ხუმრობა, ოხუჯობა, უყვარს მასხარაობა, სიცილი.

როდესაც ჰნახავ, რა მშვენივრადა და მოხდენილად ცეკვავს ესპანიელი, რა ლამაზად და კოხტად დადის, რა მშვენივრად და ზრდილობიანად ჰლაპარაკობს, ასე გეგონებათ, ეს კაცი მეტად განათლებული უნდა იყოსო, ის კი არა, რომ ეს სრულიად უსწავლელი და გაუნათლებელი მუშაა. ვინც უნდა იყოს ესპანელი, უბრალო მუშა თუ მათხოვარა, ყველა მეტად ამაყი და ამპარტავანია. მართალია, ესპანიელი ცუდს სიტყვას არავის შეჰკადრებს, ჩხუბს არ აუტეხავს, მაგრამ თუ მცირე რამ შეურაცხყობა მიაყენეთ, იმ წამსვე თოფის წამალივით აენთება და დანით მოგვარდებათ მოსაკლავად. თვით მეფემ რომ აწყენინოს რამე, იმასაც არ დაუჩუმდება. გაძარცვას უფრო ადვილად მოითმენს ესპანიელი, ვიდრე შეურაცხყოფას.

ამასთან ესპანიელი მეტად უდარდელი კაცია და ზარმაცი; დღეს რასაც იშოვის, დღესვე უნდა შესჭამოს, ხვალინდელ დღისათვის არა ჰფიქრობს. ერთი გროში რომ ჰქონდეს ჯიბეში, იმ წამსვე ან დუქანში გაექანება დასახარჯავად, ან თეატრში ან ლატარიაზე. ძუნწი კაცი ძლიერ ეჯავრება და უთავბოლოდ ფულის ფლანგვა უყვარს.

სწორედ საკვირველია, როგორ უყვარს ესპანიელს თეატრი და ყოველ გვარი წარმოდგენა. წარმოდგენის დროს სმენად და ყურებად გადაიქცევა ხოლმე. საზიზღარ კაცის როლის ამსრულებელი არტისტი ყველაფერს თავში მიახლის ხოლმე, რაც კი მოხვდება ხელში, — ვაშლს, კიტრსა, ფორთოხალს. თუმცა ესპანელი მეტად ამაყი, ამპარტავანი, მგძნობიერი და ცხარე კაცია, მაგრამ ბედს კი ადვილად დაემორჩილება ხოლმე — „ბედის წერას კაცი ვერ წაუვაო“, — ასე ამბობს ხოლმე, როდესაც კარს დიდი რამ უბედურება ეწვევა. საზოგადოდ ესპანიელი ძლიერ ამტანი კაცია, ჭამა-სმა სრულიად არ უყვარს. ერთი ნაჭერი პური და ცოტა ბოლოკი რომ შეჭამოს, მთელს დღეს გამძლარია. გაუმაძღარს კაცს მხოლოდ სამღვდელოების შორის თუ შეჰხვდებით. მუშა კაცი იმას კი არა ჰფიქრობს, სადმე კარგი საჭმელი ვიშოვოო, იმის ფიქრი ის არის, მუშაობა აიცდინოს როგორმე და გაიქცეს იქ, საიდგანაც სიმღერისა და ცეკვის ხმა მოდის, ან ორიოდე გროში იშოვოს და წარმოდგენას დაესწროს.

ბრძოლაში და ომში ესპანიელი განთქმულია ვაჟკაცობით. ნაპოლეონის დროს ბევრმა ესპანელმა ისახელა თავი, და მათდა სასახელოდ უნდა ვსთქვა, რომ არც ერთს ესპანიელს ჯაშუშობა არ უკადრია, რადგანაც სიკვდილი ურჩევნია თავის შერცხვენას. უკანასკნელი მათხოვარა ესპანიელი ჰგრძნობს თავის თავის ღირსებასა და ამაყად უჭირავს თავი. ან რას დააკლებს სიღარიბე ესპანიელს, როდესაც სიმდიდრეს არაფრად არ აფასებს რაც უნდა ღარიბი იყოს, აინუნში არ მოსდის. ამ ღირსებასთან ერთად ესპანიელს მრავალი ნაკლიცა აქვს, სულ უბრალო წყენას კაცს არ შეარჩენს და მოსაკლავად არ დაინდობს. არ მოეწონა მაგალითად ესპანიელს მეზობლის ლაპარაკის კილო, იდაყვი მოჰკრა ვინმემ გვერდში, ან წინ ჩამოეფარა, ყოველივე ის საკმარისია, რომ ესპანიელმა ნავახა (დანა) ამოიღოს და შემოჰკრას. ეს წუთი მეტად საყურადღებოა. ვსთქვათ, აწყენინა ვინმემ ესპანიელს. იმ წამსვე ამოიღებს დანას, თვალის დახამხამების უმალ დასცემს შეურაცხმყოფელს და მერე გაჩერდება, ელის და თვალებში შესცქერის. გაქცევა ისეთ სირცხვილად ითვლება, რომ თავის მოჰკრა სჯობიან. დიდ დღესასწაულების დროს ჩხუბი და ათიოდ კაცის დაჭრა ჩვეულებრივი ამბავია.

ესპანიელს ძლიერ უყვარს ლატარია და ქაღალდის თამაშობა. სადაც მიიხედავთ, ყველგან გაცხარებული თამაშობაა ქაღალდისა, სასტუმროში, დუქანში, ქუჩაში, ეკკლესიის გალავანთან. რომელ დუქანშიაც უნდა შეიხედოთ, ყველგან დაინახავთ ქაღალდის თამაშობას. თამაშობენ მუშები, მათხოვრები, ბერები, სტუდენტები...

ა. ნ.

და წამოღება ყოველ გვარის სავაჭროსი, ვგონებთ ამ გვარ ადგილებში უფრო ადვილია, ვიდრე მივარდნილს დ მიყრუებულს სოფლებში, როგორიც არის სოფ. ძველი-სენაკი. ამიტომ დიდად სასურველია, „შუამავალი“ ამხანაგობა დაარსდეს ახალ-სენაკში, თუ ჩვენს ნორჩს ამხანაგობას ჰსურს ჩვენის დღევანდელ დაქვეითებულ ცხოვრების წარმატება და ალაგმვა გაიძვერა ჩარჩ ბერძენ-სომეხ-ურიებისა, რომელთა სამუდამო საბუდარი ახალსენაკია და არა სოფ. ძველი სენაკი.

ტრიფონ კალანდარიშვილი

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

„კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გაზეთიც“ შეეხო ჩვენში ერობის შემოღების საქმესა და მოჰყავს მაგალითები, თუ რუსეთის შიდა გუბერნიებში ამ დაწესებულებამ რა სიკეთე მოუტანა ხალხს.

აი, რას ამბობს გაზეთი დასასრულ:

იმ საგანთა შორის, რომლებიც არასოდეს არ სცილდება კავკასიელ სოფლის მეურნეს, მუდამ საყურადღებოა და ენაზედ აკერია ყველას, ერთი რამ. ეს ის არის, თუ რითი და როგორ შეიძლება სოფლის მცხოვრებთ დავეხმაროთ, ვისის შემწეობითა და შუამდგომლობით შეგვიძლებთ ესა თუ ის დაწესებულება შევასრულოთ, საიდგან და სად უნდა ვშოვოთ საშუალება, რომ ადგილობრივ მეურნეობაში რაიმე უკეთესობა და ახალი ცოდნა შევიტანოთ? არც ერთი საყურადღებო და საჭირო საგანი არ აღძრულა ისე, რომ ადგილობრივ ორგანიზაციის საჭიროება მაშინვე ნათლად არ დაჰხატვოდეს ყველას. საქმე ფილოქსერასა და მის გვარ ვენახის ავადმყოფობათ შეეხება, თუ შავის ჭირისა და სხვა გადამდებ სენთა მოსპობის შესახებ აღიძვრის ლაპარაკი, პროექტს წარმოადგენენ იმისას, რომ სამეურნეო იარაღის შესაძენად ადგილობრივ საწყობები დაარსონ და სოფლის მეურნეთ შეღავათით აძლიონ წვრილ-წვრილად გამოსასყიდად, თუ აზრი გამოითქმის იმის შესახებ, რომ აუცილებლივ საჭიროა სოფლის გზები შეკეთდეს და სხ., ყოველს ამგვარს შემთხვევაში ნათლად ვგრძნობთ, თუ ჩვენთვის ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია რამდენად დიდად საჭიროა. ასეთის ორგანიზაციის სახე ჯერ გამორკვეული არ არის. მაგრამ საერობო დაწესებულებათა და მათმა მადლიანმა მოქმედებამ საერობო მეურნეობის საქმეში ყველასათვის ნათელ ჰყო, რომ ამ მხრივაც დიდს სამსახურს უწევენ საზოგადოებას. მერე იგივე საერობო მეურნეობა, რომელიც სოფლის მეურნეობის მოღვაწეობას დიდს სამსახურს უწევს, ადგილობრივ მცხოვრებთ მათ-და სასიკეთოდ და სახეიროდ აღაფრთოვანებს, დიდს ქონებრივს წარმატებას აძლევს როგორც საზოგადოდ მეურნეობას, ისე კერძოდ სოფლის მეურნეობას. ამისათვის არ შეგვიძლიან სრულის თანაგრძნობით არ შევეგებოთ იმ გარემოებას, რომ ტფილისისა და ქუთაისის საგუბერნიო სათავადაზნაურო კრებებზედ ლაპარაკი იქმნა აღძრული ხსენებულს გუბერნიებში ერობის დაწესებულებათა შემოღების შესახებ.

---

## რუსეთი

21 ივნისს რკინის გზათა დეპარტამენტში დეპარტამენტის დირექტორის ან. გორჩაკოვის თავმჯდომარეობით დაიწყო სხდომები იმ კომისიისა, რომელსაც რკინის გზის სადგურებზედ პურის ხორბლის შენახვის საქმე აქვს მინდობილი განსახილველად.

— ოდესის გაზეთების სიტყვით, მალე ჩინეთის საელჩო იქმნება დაარსებული ოდესსაში.

— ამ ჟამად უმაღლესს სასულიერო უწყებაში ლაპარაკია თურმე აღძრული იმის შესახებ, რომ ღვთისმსახურების დროს მართლ-მადიდებელთა ეკკლესიებში მხოლოდ კავკასიური და რუსული ნამდვილი წითელი ღვინო იხმარონ ხოლმე და საშუალებათა გამოძებნას უკვე შესდგომიან, რომ ხსენებული ღვინო, რაც შეიძლება გავრცელდეს ყველგან.

— სახელმწიფო რკინის გზათა გამგეობას განკარგულება მოუხდენია, რომ სადგურებზედ მგზავრებისაგან დატოვებულსა და დავიწყებულს ნივთზედ, როდესაც იგი პატრონს დაუბრუნდება, საჩუქარი არავის მიეცეს, რადგანაც ყოველისავე სადგურის მსახურნი მოვალენი არიან თვალ-ყური დაიჭირონ და დავიწყებული ნივთი შეინახონ, ვიდრე პატრონი მოითხოვდეს.

— დორპატის საიმპერატორო უნივერსიტეტს მიუმართავს ყველა სახელმწიფო დაწესებულებისათვის, როგორიც არიან მაგალითად: ბოტანიკური ბაღები, უნივერსიტეტებთან არსებული ბოტანიკური კაბინეთები, საშუალო სასწავლებლების საბუნების მეტყველო-ისტორიული კაბინეთები, საბაღოსნო სკოლები და სხ., აგრეთვე კერძო კაცებისათვის, რომ დორპატის უნივერსიტეტის ბოტანიკურს ბაღს სხვა-და-სხვა გამხმარი მცენარეულობა გაუცვალონ.

— ამ ბოლო დროს ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, მხედრობისათვის ნასყიდს საკლავს საქონელსაც იგივე გარდასახადი უნდა დაედოს, როგორც სხვასა, თუ არაო და შინაგან საქმეთა სამინისტროს საბეითალო კომიტეტმა აი, რა აზრი გამოსთქვა ამის შესახებ. კომიტეტის მიერ ამორჩეულმა კომისიამ განიხილა ეს საგანი და გარდასწყვიტა, რომ გარდასახადი დაედოს და აგრეთვე საბეითალო-სასანიტარო მეთვალყურეობაც იქმნას დაწესებული. სამხედრო სამინისტრომ ეს გარდაწყვეტილება სამართლიანადა სცნო და უკვე გამოუცხადა მთელს უწყებას, რომ დღეის შემდეგ ასე მოიქცნენ.

---

## უცხოეთი

**ინდოეთი.** გაზეთ „Times“-ის კორრესპონდენტს ლაპარაკი ჰქონია ერთს ინდოელთან, რომელსაც აი რა უთქვამს ინგლისელების შესახებ:

„შავის ჭირის საწინააღმდეგო კომისიის წევრები ყასბები არიან, რომელნიც ისე ჰხოცავენ და აწვალებენ პუნის მცხოვრებლებს, რომ არავითარ შეწყალებასა და შებრალებას არ იჩენენ. თუ ეს ამბავი დიდხანს გასტანს, იგივე მოხდება, რაც 1857 წელს, რადგანაც ინდოელი და მაჰმადიანი დიდ-ხანს ვერ აიტანს თავისს ცოლ-შვილის შეურაცხყოფას... პატიოსნება, სარწმუნოება და ქალთა უმანკოება, რომელთაც მაგულის დროსაც-კი ვერავინ შეეხებოდა, განათლებული ინგლისელების ბატონობის დროს შელახულ-შემწიკლულია. ჩვენ გაკვირვებული ვართ, რატომ ყურადღებას არავინ აქცევს პუნში ინგლისის ჯარის-კაცთა საზიზღარ და გასაკიცხ საქციელს. იქნება თვით მთავრობაც ხელს უწყობს და აქეზებს სხვა-და-სხვა საზიზღარი საქციელი ჩაიდინონ. მისტერ სანდმა კარგად გაგვაგებინა და დაგვანახვა ინგლისის მტარვალობა. იმის თავ-გასულობას საზღვარი არა აქვს: ათასს სახლ-კარი დაუქცია, სარჩო-საბადებელი აუწიოკა. ჯარის კაცებს ხელს უწყობს, რომ ჩვენი დედაკაცები ხელთ ჩაიგდონ და შეურაცხყოფა მიაყენონ. მე მიკვირს, რომ ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ გაჩუმებულია, მაგრამ ისეთი სიჩუმე დიდხანს არ გასტანს და, დღეს თუ არა, ხვალ ბოლოს მოვუღებთ ასეთს მტარვალობასა და უსამართლობასაო“.

—

**საბერძნეთ-ოსმალეთის ზავი.** ზავის შესახებ მოლაპარაკება თანდათან წინ მიდის და უთუოდ ახლო მომავალში დასრულდება კიდეც. გაზ. „Polit. Corr.“ ატყობინებენ ლონდონიდგან, რომ ელჩებმა ბრძანება მიიღეს სახელმწიფოთაგან, რაც შეიძლება დააჩქარეთ მოლაპარაკებაო. იმავე გაზეთის სიტყვით, მოლაპარაკების გაჭიანურება სულთანის ბრალი იყოო. სულთანს არ მოეწონა თურმე ელჩების გარდაწყვეტილება საზღვრების შესწორების შესახებ და სახელმწიფოებს მისწერა, ეგ გადაწყვეტილება შესცვალეთო. სულთანი თავისს წერილში უარს აცხადებს თესალიის შეერთებისას, მხოლოდ ზოგიერთ ოლქსა თხოულობს, რომელიც მაჰმადიანებით და კუცო-ვლახებით არიან თურმე დასახლებულნი. ის გარემოებაო, დასძენს ბოლოს გაზეთი, რომ ელჩები ასე თანახმად იქცევიან, იმის თავმდებია, რომ მოლაპარაკება მალე დასრულდებაო.

—

**გერმანია.** ყველას მოეხსენება, რომ ბისმარკი, რაც სახელმწიფო სამსახურს თავი დაანება, და იმპერატორი ვილჰელმი ვერ იყვნენ ერთმანეთში კარგად. არა ერთხელ და ორჯელ გაუკიცხავს ბისმარკს გაზეთების შემწეობით ვილჰელმი და იმის პოლიტიკა. ეხლა, როგორც გაზ. „Memorial diplomatique“ იუწყება, ვილჰელმს მოუწადინებია ბისმარკთან შერიგება. ამის შესახებ იმპერატორს მოლაპარაკება ჰქონია ბადენის დიდ ჰერცოგთან, რომელიც ნათესავად მოჰხვდება. გაზეთის სიტყვით, დიდი ჰერცოგი ამ ახლო ხანში ფრიდრიხსრუეში წავა ბისმარკთან და შერიგების საქმეს შეუდგება. დიდი ჰერცოგი თაყვანის მცემელი და მეგობარია თურმე ბისმარკისა, მეორეს მხრით ვილჰელმზედაც დიდი გავლენა აქვს, ასე რომ ამ საქმეს ადვილად მოარიგებსო. ამბობენ, რომ ვილჰელმი ძალიან შეაშინა ბისმარკის მიერ რუსეთ-გერმანიის შორის სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ გამოქვეყნებამაო.

—

**კრიტი.** პარიჟის ზოგიერთის გაზეთის სიტყვით, საფრანგეთი, ავსტრია-უნგრეთი, ინგლისი და იტალია თანახმანი არიან თურმე, რომ დროზი იქმნას დანიშნული კრიტის გენერალ-გუბერნატორად. გერმანიას ჯერ თავისი აზრი არ წარმოუთქვამს, სულთანი-კი პირდაპირ წინააღმდეგია თურმე. რაც შეეხება რუსეთს, იმან ახალი კანდიდატურა წამოაყენაო კრიტის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზედ. რუსეთს უნდა პრინცი ლიუდოვიკო ნაპოლეონი იქმნას დანიშნული და სულთანიც მხარს აძლევსო.

---

## სიტყვა ბერტლოსი მეცნიერების მნიშვნელობაზედ.

ამ მოკლე ხანს პარიჟის სორბონაში რესპუბლიკანელ ახალგაზდათა კავშირის წლიური კრება შესდგა, რომელზედაც შესანიშნავმა საფრანგეთის ქიმიკოსმა ბერტლომ სიტყვა წარმოსთქვა თანამედროვე საზოგადოებაში მეცნიერების მნიშვნელობის შესახებ. ბერტლო კრების თავმჯდომარედ იყო ამორჩეული; ისარგებლა რა ამ შემთხვევით, მან ხმა აღიმაღლა მეცნიერების დასაცველად მათ წინააღმდეგ, რომელნიც მეცნიერების გაკოტრებას ჰლაღადებენ. ბერტლოს აზრით, მათდა წინაღმდეგ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მე-XIX საუკუნემ განამტკიცა უაღრესი გავლენა მეცნიერებისა თანამედროვე საზოგადოებაზედ. ეს გავლენა დღითი-დღე იზრდება იმისდა მიხედვით, რამდენადაც განათლება და შეგნება ვრცელდება ხალხის უმეტესს ნაწილში. ამ გავლენის ბრალია ის ცვლილებანი, რომელიც-კი მიმართულია შესამსუბუქებლად ფიზიკურისა და ზნეობრივის ბოროტებისა, სოციალურის ტანჯვისა და ძველ დროიდგან დამკვიდრებულის მონობისა. განათლების გავრცელებისა და სამეცნიერო კანონების შეთვისების მეოხებით, ევროპაში საზოგადოებრივი აზრი თანდათან მეტს ძალას ითვისებს. ეს სასაზოგადოებრივი აზრი ძალას ატანს ინდივიდთ, რათა მათ პირველ ადგილას არა რომელიმე კერძო პატივმოყვარეობა და ზვიადობა დააყენონ, არამედ მშვიდობისა და ხალხთა საზოგადო სიკეთისათვის ზრუნვა. იდეია დაწესებულებათა განუწყვეტელი ცვალებადობისა ბევრს შიშის ზარსა სცემს. ძველ მართვა-გამგეობის მიმდევარნი უარსა ჰყოფენ ამ დაუსრულებელ მოძრაობას: ისინი თხოულობენ იდეიის უმოძრაობა-შეურყევლობას, ავიწყდებათ რა, რომ როგორც კერძო ადამიანისა, ისე მთელის ერისა და კაცობრიობისათვის, მოსვენება სიკვდილსა ნიშნავს. ყოველივე ჰმოძრაობს, „ყოველივე განუწყვეტლივ წარმომდინარეობს“, როგორც ძველი ფილოსოფოსნი ამბობდნენ, და მხოლოდ საჭიროა შევიგნოთ კანონები ამ წარმომდინირეობისა, ე. ი. მეცნიერებისა, რათა ამ მოთხოვნილებათ შევუწონ-შევუფარდოთ როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი ცხოვრება.

„ნუ გგონიათ, ბატონებო, — დაუმატა ბერტლომ: ვითომ მეცნიერება კაცის გულს ამკაცრებდეს, უხშავდეს ადამიანურს მისწრაფებათ და უნერგავდეს ეგოისტურ თავმოწონებას. პირ-იქით, ჭეშმარიტი მეცნიერება ყოველთვის უნერგავს კაცს სიმშვიდე-თავმდაბლობას, ზომიერებას, თავაზიანობა-პატივისცემას სხვისის აზრისას, ე. ი. შეწყნარებას. ჭეშმარიტს მეცნიერებას არასოდეს კოცონი არ აუმართავს მოწინააღმდეგეთა გასამუსრავად, სწავლულთა ღმერთი მოლოხს არ წარმოადგენს, რომ იგი სხვერპლის შეწირვის სახით ადამიანთა ტანჯვას ითხოვდეს. პირ-იქით მეცნიერება გვასწავლის სიყვარულს კაცისასა და ჭეშმარიტებისასა, აძლიერ-ანვითარებს მოვალეობის გრძნობას. მეცნიერება სრულიად ხელს არ უწყობს იმ უნაყოფო ასკეტიზმს, რომლის სახელითაც საშუალ საუკუნოებში ყველა ქვეყნიურ სიხარულ-სიტკბოებათ წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ. სიხარული და განცხრომა ბუნების ისეთსავე განუყოფელ კუთვნილებას შეადგენს, როგორც დარდი და მწუხარება. ეს გრძნობანი ჩვენს ბედთან განუყრელია, ამისათვის არ უნდა უარ-ვყოთ ისინი და გვეშინოდეს მათი. გვიყვარდეს ხელოვნება, გვიყვარდეს მშვენიერება, მაგრამ მომეტებულად გვიყვარდეს ჭეშმარიტება, სადაც უნდა იყოს იგი! მაგრამ, ოხუცს, ნება მიბოძეთ, მოგცეთ რამდენიმე დარიგება. ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდეთ ადამიანურ ღირსებას; არასოდეს თქვენს პიროვნულ სიამოვნებას მსხვერპლად არ შესწიროთ იგი და განსაკუთრებით დაიცევით ღირსება დედა-კაცისა, რომელიც თქვენ, — როგორც მძლავრთ, — უნდა დაიფაროთ თავისის საკუთარის სისუსტისაგან. ვიყვნეთ სასტიკნი ჩვენი თავის მიმართ, მხოლოდ სხვისა გულლმობიერნი და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ის მოგონებანი კი არ არის სასიამოვნო, რომელიც ჩვენს კერძო განცხრომასა და შვება-ლხენას (ხშირად სინანულის გრძნობის მოხიბლულთ) შეეხება, არამედ მოგონება იმ სამსახურ-შემწეობისა, რომელიც ჩვენ შეძლება გვქონდა სხვისათვის გაგვეწია?

„ცხოვრება, ბატონებო, არც დარდისა უნდა იყოს, არც განცხრომისა. ჩვენ განუწყვეტლივ უნდა ვიბრძოდეთ და არასოდეს ბედის ყურ-მოჭრილი მონანი არ ვიყვნეთ. განსაკუთრებით ჩვენ უნდა ვუფრთხილდეთ, გამრყვნელ გავლენას მოძღვრებისას „laissev taive laissev passeV“, რომლის გაძლიერება მოსპობს მეცნიერების საზოგადოებრივ ცხოვრებაზედ ყოველგვარ ზეგავლენას, თითქმის ისევე, როგორც ის შავ-ბედითი, ოდესღაც ტრიბუნის სიმაღლიდგან წარმოთქმული სიტყვა, რომელმაც სოციალურ ცხოვრებ[illegible] უმაღლეს აზრად გამდიდრება გახადა. ყველა ეს მოძღვრებანი გონებისა და სიმართლის წინაღმდეგნი არიან და იგინივე აჩენენ წოდებათა შორის ბრძოლასა და სიძულილს, რომელთაგან თანამედროვე საზოგადოება ესე მკაცრად იტანჯება და რომელთაც მხოლოდ მეცნიერება მოსპობს ახალ ეკონომიურ კანონების გამოჩენით. ამ გამოჩენის საფუძვლად ყველა ადამიანის, რომელს წოდებასაც უნდა ეკუთვნოდნენ, ინტერესად გრძნობათა ფართო შეთანხმებ-შეკავშირება უნდა დაიდვას. ერთის სიტყვით, ცხოვრებას საგნად სამეცნიერო მოქმედება უნდა ჰქონდეს, რომელიც სრულს

პიროვნულს, ხორციელს, ზნეობრივსა და გონებრივს განვითარებაზედ უნდა იყოს მიმართული, არა მარტო თავისისა, არამედ სხვა ადამიანთაც. მხოლოდ ამ გზით, მეცნიერების საშუალებით, ჩვენ შეგვიძლიან მივისწრაფოდეთ ყველა კაცობრიობის მოდგმათა განთავისუფლებისაკენ იმ ზნეობრივ და ქონებრივ მძლავრობისაგან, რომელიც დიდის ხნიდგან კისერზე აწევთ“.

ე. მ—შვილი

## ნაკვესი

—

ერთი მეტად უბედი კაცი ეწვია არისტოს და დიდხანს გაუბა რატრატი. ბოლოს, არისტომ რომ არა უთხრა რა, შეეკითხა:

— თავი ხომ არ მოგაბეზრეთ, ან საქმის კეთებას ხომ არ გიშლითო?

— განაგრძეთ, არაფერია, უპასუხა არისტომ: სულ ერთია, ყურს არ გიგდებთო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკელი აფიცერი მაკსფელდი ფრანის შემწეობით ავიდა ჰაერში და ეხლა ამტკიცებს, რომ ფრანი გაცილებით სჯობია ჰაეროსტატს. ეს ფრანი გაკეთებულია ამერიკის ინჟენერის ედდის მიერ. როდესაც ფრანი ჰაერში ავიდა, აფიცერმა მაკსფელდმა ხელი ჩაჰკიდა ფრანის მავთულზედ მიმაგრებულ ქახრაკს და ისე ავიდა ჰაერში. საზოგადოდ, უნდა ვსთქვათ, რომ ამ ჟამად ამერიკელები ძლიერ მისდევენ დიდრონ ფრანის აშვებას ჰაერში და იმედი აქვთ, ისეთი ფრანი გააკეთონ, რომ ადამიანს დიდს სიმაღლეზედ შეეძლოს ჰაერში ასვლა.

* * *

ამერიკაში გაუკეთებიათ მანქანა, რომლის შემწეობით ძლიერ ადვილია თურმე ნოტების წერა. ეს მანქანა ისეა მომართული, როგორც სხვა საწერი მანქანები. ვინც ნოტები იცის, ის ძლიერ ადვილად გამოიყენებს თურმე ამ მანქანას.

* * *

ერთი ფრანგი მკურნალი ამტკიცებს, რომ ლოთობის გადაჩვევა ძლიერ ადვილია მის მიერ გამოგონილ წამლით. ეს მკურნალი თურმე მთელის კვირის განმავლობაში სპირტს უშხაპუნებს ძაღლებს, მერე სისხლს უშვებს და ამ შედედებულის სისხლით უცრის ლოთებს. მკურნალი ამტკიცებს, რომ რაც უნდა ლოთი იყოს კაცი, არ შეიძლება ამ გვარ წამლობით არ მორჩესო.

* * *

ინდოსტანში სცხოვრობს ერთი ტომი, სახელად ტოდა. ამ ტომში თურმე მამაკაცთა რიცხვი გაცილებით აღემატება დედაკაცთა რიცხვს და ამიტომ იქ რამდენსამე კაცს ერთი ცოლი ჰყავს. ქალი რომ ერთს ძმას მისთხოვდეს, ყველა დანარჩენთ ცოლადაც ითვლება, სულ ერთია, რამდენი ძმაც უნდა ჰყავდეს იმის ქმარსა. ამ ტომის სარწმუნოება ძლიერ წააგავს თურმე ებრაელთა სარწმუნოებას. საკვირველი ის არის, რომ ამ ტომს თანდათან აკლდება. 1881 წელს ამ ტომის ხალხი მხოლოდ 685 კაცი-ღა იყო დარჩენილი.

* * *

ფრიდრიჰსგაგენის გაზეთები სწერენ: ერთის კაცის 12 წლის ქალის დაბადების დღეს მშობლებმა სადილი გამართეს და სტუმრები მოიწვიეს. ქალის ძმამ, 10 წლის ყმაწვილმა, სახელად მაქსმა შენიშნა, რომ იმის დას მეტი ტკბილეული მისცეს. ყმაწვილი მაშინვე წამოხტა, გავიდა გარედ და ოთახში აღარ დაბრუნებულა. კარგა ხანს შემდეგ ყმაწვილს ძებნა დაუწყეს და ნახეს, რომ განაწყენებულს ბავშვს თავი ჩამოურჩვია მეორე ოთახში. ბავშვი ვეღარ მოასულიერეს და გარდაიცვალა.

## სასამართლოს მატიანე

—

### ყალბის ფულის მოჭრა

25 ივნისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ყალბის ფულის მომჭრელთა ეჩმიაძინის მაზრის სოფ. ვაღარშაპატისა და ალიბექლუს.

ამ საქმის გამო ბრალი ედებოდა 50 კაცს. ერევნის ოლქის სასამართლომ დამნაშავებად აღიარა ამაიაკ შაჰბაზიანცი და ვასილ პავლეს ძე ბაბინი და მიუსაჯა ყოველისავე უფლებათა და ღირსების ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა: შაჰბაზიანცს 8 წლით და ბაბინისა:—6 წლით. გარდა ამისა სასამართლომ დამნაშავებად იცნო: ვაღ. ბაბანიანცი, მიხ. ერამიანცი, კ. ერამიანცი, ა. აბელოვი, ა. აკოფოვი, ს. ტერ-პეტროსიანცი, ვ. ფულუზოვი და ო. მალქაზიანცი. ამათ ოლქის სასამართლომ ყველას კატორგა მიუსაჯა ექვსის წლით. 4 წლის კატორგა მიუსაჯეს: სიმ. სააკიანცს და ვანო პეტროსოვს. ყალბის ფულის გასაღებაში დამნაშავებად იცნო ოლქის სასამართლომ: კაპრელ ტერ-ავაქიანცი, ჰუდა-ქიარიმ-ალევერდ-ოღლი, კ. ტერ-პოღოსიანცი, ბეგო მელიქიანცი, მ. თათოსიანცი და 4 წლით კატორგა მიუსაჯა ყველას; კატორგა მიუსაჯა აგრედვე ხოსრ. ტერ-პოღოსიანცს 2 წლისა და 8 თვის ვადით, ხოლო მანიფესტის ძალით კატორგა ციმბირში გადასახლებით შეუცვალეს. ყველა ამ დამნაშავეთ უნდა გადახდეს ხაზინის სასარგებლოდ 65,260 მ. სასამართლომ დამნაშავებად იცნო აგრედვე ორომსიმე მალხაზიანცისა და ჯავანგირ ერენოსიანცი, ამათ ის ბრალი ედებოდათ, რომ იცოდნენ ყალბის ფულის მოჭრის ამბავი და მთავრობას არ შეატყობინეს.

ოლქის სასამართლომ ამათ 5 თვით და 10 დღით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა. აგრედვე დამნაშავებად იქმნენ ცნობილნი მ. ტერ-პეტროსიანცი, ს. ასლანოვი, მ. ერანოსიანცი და პ. მუქელოვი.

დანარჩენი 26 ბრალდებული გაამართლეს.

გარდა ამისა ოლქის სასამართლომ წაართვა ბრალდებულთ 12,020 მანათის ყალბი ფული, სალიტოგრაფო მანქანა და სხვა იარაღი.

საქმე გადატანილ იქმნა ოლქის სასამართლოდგან პალატაში თვით ბრალდებულთა და ბრალმდებელის თხოვნით.

სასამართლო პალატამ დაადგინა: საპატიო მოქალაქეს მ. ტერ-პეტროსიანცსა და პოღოს მუქელოვს ჩამოერთვათ ყოველგვარი უფლება და 4 წლის ვადით გაგზავნილ იქმნან კატორგაში. პალატამ იშუამდგომლოს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რომ ორომსიმე მალხაზიანცისა კატორგაში არ იქმნას გაგზავნილი და მხოლოდ 1 წლით ციხეში დააპატიმრონ. ყველა ამ ბრალდებულთ გამოერთვას ხაზინის სასარგებლოდ 65,260 მანათი. მიხ. თათოსიანცი და კ. ტერ-ავაქიანცი სამოსამართლო პალატამ სრულიად გაამართლა. რაც შეეხება სხვა ბრალდებულთ, პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

27 ივნისი.

**მოსკოვი.** 26 ივნისს მოვიდა აქ სამზღვარ-გარეთიდგან სიამის მემკვიდრე პრინცი, რომელსაც მიეგებნენ მეფე, უავგუსტოესი გენერალ-გუბერნატორი, გენერლობა, წარმომადგენელნი ადმინისტრაციისა, თავად-აზნაურობისა და ქალაქისა.

**კალკუტა.** რადგანაც სამხედრო ზომები იქმნა მიღებული, საპხს წარსულს ღამეს აღარავითარი უწესოება აღარ მოუხდენია. დღეს მშვიდობიანობაა.

**კანეა.** პლატანში მომხდარ შემთხვევისაგამო, ადმირალებმა გადასწყვიტეს შესცვალონ მოქმედების გეგმა. ადმირალები, მეამბოხეთა შეთქმულებად, გაგზავნიან ძლიერს რაზმს საომარი იარაღით და სასტიკ ზომებს მიიღებენ მეამბოხეთა დასამშვიდებლად; აგრეთვე ეცდებიან დამნაშავენი დაიჭირონ და დასაჯონ.

**კონსტანტინეპოლი.** პორტამ სახელმწიფოებს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც აცხადებს, რომ, სამხედრო მოსაზრების გამო, იძულებული ვარ მოვითხოვო, რომ საზღვარი ტინეიზე იქმნას გაყვანილი. კრებები ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად ჯერ ჯერობით შეწყვეტილია.

**პარიზი.** აქ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთის მიერ სახელმწიფობთან გაგზავნილმა ნოტამ, ზავის გამო მოლაპარაკების დაჩქარების შესახებ. ამ ნოტას დიდს მნიშვნელობას აძლევენ.

**კონსტანტინეპოლი.** დღეს გამოაშკარავდა, რომ რუსეთის მიერ გაგზავნილმა ნოტამ, რომელშიაც ის ურჩევს სახელმწიფოთ, რომ მათ უფრო ენერგიული ზომები მიიღონ, რათა აიძულონ ოსმალეთი ზავის პირობებზე თანხმობა მალე გამოაცხადოს,—ილდიზ-კიოსკში შთაბეჭდილება მოახდინა. ყველა დარდანელში მყოფ ოსმალეთის გემმა ბრძანება მიიღო, მოემზადეთ კრიტზე წასასვლელადაო. გემებს 3 თვის სურსათი ექმნებათ თან. ის გემებიც, რომლებიც შესაკეთებლად არიან მიცემულნი, რაც შეიძლება მალე უნდა გაემგზავრნენ. ფლოტის ის აფიცრები, რომლებიც დროებით დათხოვნილ იქმნენ, სამი დღის განმავლობაში უნდა გამოცხადდნენ. ზღვათა წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ მხოლოდ ზოგიერთი გემი გამოდგება კრიტის წყლებში წასასვლელადო.

## სიმართლის გამოქვეყნება

(წერილი რედაქციის მიმართ)

უნდა მოგახსენოთ, რომ კაცის მომდურებას, კამათს, ჭორებს და ცილის-წამებას ერთობ ვერიდები. ჩემ შესახებ ბევრჯელ დაწერილა, ხშირად უმართებულო შეჩვენებაც მოუძღვნიათ, მაგრამ მეკი არავისთვის მიმიცია პასუხი, თუ დამიწერია რამე, ისიც ერთობ იშვიათად. ახლა ვწერ ამ პაწია წერილს და იმედი მაქვს, რომ ეს წერილი არ გახდება ვისიმე ღირსების შემბღალავად. ეს იქმნება ახსნა, ნამდვილი ცნობა ერთის საყურადღებო საუბრისა, რომელსაც, ცხადი საქმეა, მკითხველი არაფერს „პარტიობას“ არ დასწამებს.

მე, როგორც ჩვენის მწიგნობრობის მოყვარე, ჩვენის მწერლობის მიმდინარეობის საქმეებს ჯეროვანს ყურადღებას ვაპყრობ, ყოველს ამბავს ჩემთვის ვინუსხავ. ბევრი ცნობა მაქვს ჩვენის მწიგნობრობის შესახებ შეკრებილი და იმედია, რომ კიდევ ბევრს შევკრებ. ახლა მოგითხრობთ ერთ ამბავს, რომელიც შეეხება ქართულ სახელმძღვანელო წიგნის „დედა ენის“ ისტორიას.

შარშან, ზაფხულს, მკათათვის რიცხვებში, მე, კოწია თავართქილაძე, არსენ ორმოცაძე და ორიც სხვანი მცხეთაში ვიყავით. შუადღის 5 საათზედ იქიდგან დავბრუნდით. გზაში, ერთს ვაგონში, შემხვდა ბ-ნი ალექსანდრე ნათაძე. ჩვენ საუბარი დავიწყეთ, მე ვკითხე: ალექსანდრე! ამ სიცხეში ქალაქისკენ რად მიხვალ-მეთქი? მან მომიგო:

— მე შევადგინე ერთი სახელმძღვანელო წიგნი და წარვადგინე იქ, სადაც ჯერ არს, წიგნი მოსწონებიათ, ამისთვის 200 მანათიც დაუნიშნავთ საჩუქრად და ახლა მივალ და წიგნი და ფული უნდა მივიღო, მერე წიგნსაც დავბეჭდავო.

რაგვარი სახელმძღვანელოა, რას შეიცავს?

— პირველ დაწყებითი სასწავლო წიგნიაო „დედა-ენის“ მაგიერ.

ამის გამო ჩვენ საუბარი მოგვიხდა, საუბარს უსიამოვნო კამათიც მოჰყვა, ამას ჩვენი მეგობრებიც მოუახლოვდნენ, ამათაც მიიღეს მონაწილეობა. ეს იმათაც კარგად ეხსომებათ. მე მაშინვე საყვედური უთხარი ბ-ნ ალ. ნათაძეს, რომ „დედა-ენის“ მაგიერ არ უნდა შეგედგინა რამე წიგნი მეთქი.

„დედა-ენის“ შესახებ საუბარი იმდენად საყურადღებოდ მიმაჩნია და მას ისეთ მნიშვნელობას ვაძლევ, რომ მე ეს ამბავი მესამე, მეოთხე დღეს ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს ვაცნობე სურამში. მას შემდეგ განვლო დრომ და ახლა გაზეთებში პოლემიკა ატყდა და ალ. ნათაძე უარ-ჰყოფს თავისს ნათქვამს სიტყვებს და როგორც გავიგე მეც მემდურება თურმე.

დავარწმუნებ ბ. ალექსანდრე ნათაძეს, რომ მე დასამდური არავისთან არა მაქვსრა, რაც მე ვაცნობე ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს, ის ნათქვამი სიტყვები მის საკუთრებას შეადგენს. მის ნათქვამი გახლავთ. თუ ეგონა, რომ მე ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს არ ვეტყოდი, ეს არ იქმნებოდა, რადგანაც „დედა-ენის“ შესახებ რამე ცნობების დაფარვა—დანაშაულია. კერძო კაცის შესახებ ბევრი რამ შეიძლება უყურადღებოდ დაშთეს და საზოგადოს-კი მე გვერდს ვერ ავუვლი. თუ ბ-ნ ალ. ნათაძემ ჩვენს წინაშე 200 მანათი სიცრუით ახსენა, მით სურდა მხოლოდ თავის მოწონება და წიგნის ქება-დიდება, მაშინ პირველად გასაკიცხი იგი უნდა იყოს სიცრუის თქმისთვის, რომ მეც სიცრუე მათქმევინა; ხოლო თუ მართალი ბრძანა და ყოველივე მის მიერ ნამბობი მართალია, მაშინ მე რაღას მემდურება, მეც მართალი მითქვამს ბ-ნ იაკობ გოგებაშვილისათვის და მასაც მართალი გაუმეორებია თავის წერილში.

ზ. ჭიჭინაძე.

# განცხადებანი

## ახალი გამოცემანი

### „წერა-კითხვის საზოგადოებისა“

**მეფე ერეკლე და ინგილო ქალი**, სახალხო მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა, ორი სურათით, ფასი ერთი შაური. ვინც ასობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა ოთხ კაპეიკად.

**დედა-ენა**, მეთორმეტე გამოცება, შევსებული მრავალი ახალი სურათით, რომლის რიცხვი აღემატება ამ ახალს გამოცემაში სამას სამოც სურათსა. წიგნი წინანდელზედ მეტია სტამბის მთელი თაბახით და შეიცავს 224 გვერდსა. ფასი კი წინანდელია—ორი აბაზი ყდით.

**ბუნების კარი**, მეცხრე გამოცემა, რომელშიაც პირველად არის დასურათებული ეტნოგრაფიული, გეოგრაფიული და ისტორიული განყოფილება ოცდა-ათი ახალი ნახატით. ფასი უწინდელია—90 კაპ. ყდით.

**რვეულები** ქართულის წერისა, „დედა-ენასთან“ სახმარებელი, ფასი ოთხი კაპ. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ასობით, მას რვეული დაეთმობა $3^3/_4$ კაპ.

**სალამური**, ანუ ქართული სახალხო სიმღერები, გადაღებულნი ნოტებზედ ზაქარია ჩხიკვაძის მიერ, ფასი ხუთი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოცს ცალსა, აბაზად დაეთმობა.

**ოქროს მოყვარულები** მოთხ. ცშოკესი თარგ. ელენე წერეთლისა ფასი 15 კ.

**მთიულეთი** 1804 წ. ისტორიული ამბავი, ფასი 70 კ.

**ლიქსები** ნ. ბარათაშვილისა მეხუთე გამოცება ფასი 40 კ.

აქვე იყიდება:

**მოსავლის მცველნი**, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, რომელშიაც აწერილია თექვსმეტი მცველი ქირნახულისა ოცდახუთი სურათით, დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, ფასი ერთი აბაზი. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის ოცობით, წიგნი დაეთმობა 16 კაპ.

**თავდადებულნი ქართველნი**, ანუ ისტორიულნი მოთხრობანი იაკობ გოგებაშვილისა, ფასი 10 კ. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოცობით, წიგნაკი დაეთმობა 8 კაპეიკად. (3—უ—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ 27 го Юнія 1897 г. სტამბა [illegible] ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.